კომპანია ყურადღებით აკვირდება უკრაინაში მომხდარ მოვლენებს, რომლებმაც მნიშვნელოვანად გაზარდა მერყეობა სასაქონლო და სავალუტო ბაზარზე. მოხდა დეფიციტური საქონლის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული წყაროებიდან იდენტური/მსგავსი საქონლით, რითაც თავიდან იქნა აცილებული საწარმოს ფუნქციონირებადობის რისკი.

საექვო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტის გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	მიწა	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ნაშთი 01.01.2020	-	61 112	-	-	-	-	61 112
მომრეობა							
კატეგორიებს შორის	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა	8 214 512	2 193 769	15 892	920 523	-	6 785	11 351 481
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	-	(275)	-	(507)	(782)
ნაშთი 31.12.2020	8 214 512	2 254 881	15 892	920 248	-	6 278	11 411 811
მომრეობა							
კატეგორიებს შორის	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა	-	2 891 539	251 411	483 626	75 764	162 389	3 864 729
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	(40 487)	(4 906)	(115 652)	(4 217)	(10 383)	(175 646)
ნაშთი 31.12.2021	8 214 512	5 106 334	262 397	1 287 821	71 547	158 284	15 100 894

2020 წლის 18 მაისს დარეგისტრირდა იპოთეკის უფლება კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ, რაც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. მარაგები

მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
საქონელი	1 053 709	-	-
ნედლეული და მასალები	31 163	24 123	-
მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი	41 807	5 700	-
სხვა მარაგები	414	-	21
სულ მარაგები:	1 127 093	29 823	21

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
დებიტორული დავალიანება	5 722	-	-
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	63 708	-	-
სულ საფაქრო და სხვა მოთხოვნები:	69 430	-	-

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	46 751	1 471	1
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	99 506	1 205	5 017
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	730 297	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	146 257	732 973	5 018

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	13 682 147	14 233 311	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	1 402 786	864 789	-
სულ სასესხო ვალდებულებები:	15 084 933	15 098 100	-

კომპანიას აღებული აქვს შემდეგი გრძელვადიანი სესხები:

- დამფუძნებელი კომპანიის სესხი - 693 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში 2 306 705 ლარი;
- დამფუძნებელი კომპანიის სესხი - 1 145 400 ევროს ექვივალენტი ლარში 4 195 266 ლარი;
- სს „საქართველოს ბანკის“ სესხი - 2 600 000 ევროს ექვივალენტი ლარში 9 053 720 ლარი.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შენიშვნაში მოცემული დამფუძნებელი კომპანიისგან აღებულ სესხზე 2021 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯი არ ფიქსირდება, რადგან

კომპანიას დამფუძნებლისგან აღებული აქვს უპროცენტო სესხი. შესაბამისად შენიშვნაში მოცემული ვალდებულების ნაშთი მოკლევადიან პერიოდში არ იმოქმედებს კომპანიის ფულის მოძრაობაზე.

სს „საქართველოს ბანკის“ სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს -6%-ს.

ზემოაღნიშნული აგრეთვე გავლენას ახდენს სავალუტო რისკების მოცულობაზე და რადგანაც სავალუტო პოზიციების ცვლილება პრაქტიკულად სრულად გამოწვეულია ვალუტაში არსებული სასესხო ვალდებულებებით, მის გარეშე კომპანიას სავალუტო რისკი პრაქტიკულად არ გააჩნია.

9. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
სმფ მოწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	98 041	461 256	20
ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	300	6 525	-
გადასახდელი ხელფასები	44 079	1 125	-
ვალდებულება პერსონალის წინაშე	160 000	160 000	77 000
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	302 420	628 906	77 020

10. ამონაგები

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის შემოსავლები შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	6 534 771	-
შემოსავალი მომსახურებიდან	680 573	-
სულ ამონაგები:	7 215 344	-

11. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯები

გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
ტრანსპორტირების ხარჯები	49 588	-
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯები	96 832	-
სულ გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯები:	146 420	-

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
პერსონალის ხარჯები	612 105	22 602
იჯარის ხარჯი	12 231	6 146
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	148 539	2 879
სამეურბეო და ოფისის ხარჯები	147 924	15 582
დაზღვევის ხარჯები	7 609	675
საბანკო მომსახურების ხარჯი	34 458	54 185
ცვეთა და ამორტიზაცია	180 607	2 507
საგადასახადო ხარჯები	59 327	17 208
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	36 445	602
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	1 239 245	122 386

13. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
სახელმწიფო დახმარება	5 459	-
შემოსავალი ინვენტარიზაციით	38 100	-
შემოსავალი მარკეტინგული საქმიანობიდან	1 050	-
სხვა შემოსავალი	9 369	688
სულ სხვა შემოსავალი:	53 978	688

14. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
საქონლის ჩამოწერის ხარჯი	19 565	-
კონვერსიის და კონვერტაციის ხარჯი	14 833	79 484
სხვა ხარჯები	1 708	7 534
სულ სხვა ხარჯები:	36 106	87 018

15. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაზღვევა

იმისათვის, რომ კომპანიაში არ წარმოიშვას გაუთვალისწინებელი გარემოებები, აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებები. კომპანიას დაზღვეული აქვს როგორც საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები, ასევე სასაქონლო მატერიალური მარაგები. აქედან გამომდინარე გაუთვალისწინებელი და ბუნებრივი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზიანი ანაზღაურებული იქნება სადაზღვევო კომპანიის მიერ, რაც მინიმუმამდე ამცირებს შესაძლო დანაკარგების რისკს.

კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ მომავალშიც გააგრძელებს ბაზარზე არსებული მოწინავე სადაზღვევო პროდუქტების გამოყენებას.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განხორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება დაუკავშირებელ პირებთან.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

დასახელება	მფლობელები	უმაღლესი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები
საქონლის რეალიზაცია	-	-	11 079
მომსახურების გაწევა	-	-	20 265
სესხის აღება	1 551 831	-	-
საქონლის და ნედლეულის შესყიდვა	-	-	26 539
სერვისების შესყიდვა	-	-	31 447
პერსონალის ხარჯები	-	29 988	-
სულ 2021 წლის ოპერაციები	1 551 831	29 988	89 330

დასახელება	მფლობელები	უმაღლესი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1 205
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	-	-	-
მიღებული სესხები და პროცენტები	6 160 118	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	4 458
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	-	3 913	-
სულ ნაშთი 31.12 2021	6 160 118	3 913	5 663

17. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯიას“ მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯიას“ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯიას“ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისაგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „რეალ აუდიტ კონსალტინგის“ სახელით

მარინა ბედიჩიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-239273)

აუდიტის პარტნიორი

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი, 2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯიას“ მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯიას“ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯიას“ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.


მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისაგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „რეალ აუდიტ კონსალტინგის“ სახელით



მარინა ბედინეიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-239273)

აუდიტის პარტნიორი

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი, 2022 წელი



წლიური ანგარიში 2021



	კომპანიის შესახებ	03
	დამფუძნებლის მიმართვა	05
	ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მოკლე მიმოხილვა	06
	ძირითადი რისკების მოკლე მიმოხილვა	11
	სამომავლო გეგმები	14

ფრესკო 2012 წელს დაარსდა და 9 სუპერმარკეტით არის წარმოდგენილი თბილისის სხვადასხვა რაიონში. ფრესკო იყო პირველი და ერთადერთი ქსელი, რომელმაც თბილისის გარე უბნების მაცხოვრებლებისათვის შექმნა ისეთივე კომფორტული და მაღალი სტანდარტების მქონე დიდი ფორმატის სავაჭრო სივრცეები, როგორიც შეიძლებოდა სხვა ნებისმიერ ცენტრალურ უბანში ყოფილიყო. ფრესკოს ბრენდის ქვეშ გაერთიანებული სუპერმარკეტები ხუთი კომპანიის მეშვეობით ოპერირებენ ქართულ საცალო ვაჭრობის ბაზარზე.

ფრესკომ ბაზარზე შემოსვლისთანავე დაიწყო ქსელის აქტიური განვითარება და სუპერმარკეტების რაოდენობის სწრაფი ზრდის მეშვეობით იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად-მზარდი ქსელი გახდა. ეს სტრატეგია კომპანიამ რადიკალურად შეცვალა 2016 წლიდან და შემდგომ ეტაპზე ქსელის განვითარების თვალსაზრისით, კონცენტრაცია არა სუპერმარკეტების რაოდენობის ინტენსიურ ზრდაზე, არამედ არსებული ქსელის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ განვითარებასა და მომგებიანობის ზრდაზე მოახდინა.

ფრესკო ლიდერი კომპანიაა მოწესრიგებული საცალო ვაჭრობის ბაზარზე, რომლის წარმატებას განაპირობებს მისი სწრაფვა და მზაობა კომფორტულ გარემოში მიაწოდოს მომხმარებლებს ხარისხიანი პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი. ფრესკო არის ფინანსურ წარმატებაზე ორიენტირებული კომპანია, რაც არა მხოლოდ დამფუძნებლისთვის გონივრული მოგების მიღებას, არამედ თითოეული თანამშრომლის ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ამავედროულად, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას გულისხმობს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი პირობაა, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლის კმაყოფილების მაღალი დონის უზრუნველყოფა. აქტიური კონკურენციის, მომხმარებლის მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის და მოლოდინების ზრდის პირობებში, ეს უფრო და უფრო რთული ამოცანა ხდება. აღნიშნულ გამოწვევებს ფრესკო წარმატებით უმკლავდება სწრაფი და დროული რეაგირების გზით: კომპანიაში შემუშავებულია მომხმარებლის უკუკავშირის ანგარიშგების და გაანალიზების სისტემა, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს პროცესების გამარტივება და ოპტიმიზაცია. რეგულარულად ხდება სავაჭრო სივრცეების შიდა და გარე დიზაინის განახლება და გაუმჯობესება, იმისთვის რომ მომხმარებლების მიერ ფრესკოში საყიდლების გაკეთება კიდევ უფრო სასიამოვნო გამოცდილება გახდეს.

ამასთანავე, ფრესკო ერთადერთი ქსელია საქართველოში, რომელიც ოპერირებს 100% საკუთრებაში არსებულ მიწისა და შენობების ბაზაზე, რაც განაპირობებს მის დამოუკიდებლობას და ფინანსურ სიძლიერეს.

2021 წელს COVID-19-ის პანდემიის დროს ფრესკომ არა მხოლოდ შეძლო გამოწვეული დაბრკოლებების გადალახვა და ბიზნესის უწყვეტობა, არამედ პანდემიის პირობებში ქსელი გააფართოვა. მაშინ როდესაც, სხვა კომპანიები ბიზნესის დახურვასა და ფილიალების შემცირებისკენ იყვნენ მომართულები, ფრესკომ ახალი ფილიალი დიდუბეში გახსნა.



პროექტი მთლიანად ფრესკო ჯგუფის მიერ განხორციელდა, არსებული ბიზნეს მოდელით - საკუთარ მიწაზე, საკუთარი რესურსით და ძალებით აშენებულ შენობაში ოპერირება. კორონავირუსის პანდემიამ გააუარესა საინვესტიციო გარემო მთელ რეგიონში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ინვესტიციები შემოდინება საქართველოში. ამის ფონზე ფრესკომ 15 მილიონიანი ლარის ინვესტიცია განახორციელა და აღნიშნულ სუპერმარკეტში 200-მდე ადამიანი დაასაქმა.

აქამდე, მსგავსი ფორმატის მაღაზია დიდუბის რაიონში არ გახსნილა - ახალი სუპერმარკეტი 5000 კვ.მ. ფართობზე აშენდა. შენობაში გარდა ძირითადი სავაჭრო დარბაზისა განთავსებულია მზა პროდუქციის საწარმო, სასაწყობო ფართი და თვითმომსახურების კაფე.

ფრესკოს კონკურენტული უპირატესობაა:

- ✓ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
- ✓ კომფორტული გარემო
- ✓ საუკეთესო დონის მომსახურება
- ✓ სისუფთავე და სურსათის უვნებლობის სტანდარტების მაღალი დონე
- ✓ საკუთარი წარმოების მზა კვება (ყოველთვის ახალდამზადებული თითოეულ სუპერმარკეტში)
- ✓ უფასო პარკინგი
- ✓ კეთილმოწყობილი კაფე
- ✓ ყოველდღიური, 24 საათიანი მომსახურება

ფრესკოს წარმატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და ღირებული აქტივი მისი გუნდია, რომელიც წარმოდგენილია გადამზადებული თანამშრომლებითა და სუპერმარკეტის კვალიფიციური, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯმენტით. კომპანიის სტრატეგია ეფუძნება ნებისმიერი დასაქმებულისთვის შიდა დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობის მიცემისა და წახალისების პრინციპს და ორიენტირებულია თანამშრომლებთან გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე. სუპერმარკეტში დასაქმებული საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების, ასევე ღირეუტორთა საბჭოს წევრების 80% შიდა დაწინაურებული კადრია

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელი მძიმე წელი იყო, გაგრძელებული პანდემიის რეჟიმიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით, ფრესკო ჯგუფის ისტორიაში დარჩება, როგორც ახალი სუპერმარკეტის გახსნის და თითქმის ყველა მიმართულებით ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის წლად.

2021 წელს დიდუბეში, წერეთლის გამზირზე გავხსენით არქიტექტურულად გამორჩეული, თანამედროვე სტანდარტებით აშენებული და ევროპული დანადგარებით აღჭურვილი მრავალფუნქციური სავაჭრო ობიექტი. ფრესკო ჯგუფი კვლავ რჩება განვითარებაზე და გაფართოვებაზე ორიენტირებულ კომპანიად. აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ახალი მიწის ნაკვეთების შეძენაზე და ქსელის გაზრდაზე.

2021 წელი გამორჩეული იყო ფრესკო ჯგუფში შემავალი ყველა სუპერმარკეტისთვის:

- საგრძნობლად გაიზარდა სასურსათო და საყოფაცხოვრებო პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი;
- ასევე, გაიზარდა წლიური ბრუნვა და საშუალო ჩეკი;
- გაიზარდა ხელფასები და ბონუსები;
- გაიზარდა პანდემიის დროს შემცირებული მომხმარებლების რაოდენობა და მომსახურების ხარისხი;
- კაპიტალურად გარემონტდა და დიზაინის მხრივ საგრძნობლად შეიცვალა სავაჭრო სივრცეები ჩვენს ქსელში.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან კვლავ ვერ ვხედავ ბიზნესის განვითარებით დაინტერესებას. კვლავ აქტუალური რჩება ისეთი პრობლემები როგორიცაა: ჩვენი კონკურენტის მხრიდან დღგ-ს გადასახადის არ გადახდა; მოუწესრიგებელი გარე ვაჭრობა (საკვები პროდუქციის, განსაკუთრებით ხილ-ბოსტნის) ფისკალური აპარატის გამოყენების გარეშე; ორმაგი სტანდარტები სურსათის უვნებლობის მოთხოვნების თვალსაზრისით, მოწესრიგებულ და არამოწესრიგებულ რითეილთან მიმართებაში. მსგავსი პრობლემები, ნამდვილად, არ უწყობს ხელს ჩვენი კომპანიის წინსვლას.

უკვე 7 თვეა, მიმდინარეობს ომი რუსეთ-უკრაინას შორის, დაირღვა აწყობილი ლოჯისტიკური სქემები, ფიზიკურად განადგურდა არაერთი ქარხანა, რომელიც აწარმოებდა ჩვენი მომხმარებლებისთვის ნაცნობ და სასურველ პროდუქციას. მიუხედავად პირველი შოკისა, ჩვენ შევძელით ჩვენს პარტნიორებთან ერთად მოგვენახა ახალი გზები, მომხმარებლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ეს მუშაობა კვლავაც გრძელდება. გარდა ამისა, ჩვენს სუპერმარკეტებში გამოჩნდნენ როგორც რუსი, ასევე უკრაინელი მომხმარებლები და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ჩვენთვის ახალი გამოწვევაა. უკრაინის მხარდასაჭერ არაერთ ღონისძიებასთან ერთად, ვამაყობთ, რომ ჩვენს გუნდს შემოუერთდნენ უკრაინელი თანამშრომლები.

მთელი ჩვენი გუნდი მზადაა ახალი გამოწვევებისთვის, განვითარებისთვის და იმედით უყურებს, როგორც ჩვენი კომპანიის, ასევე ჩვენი ქვეყნის მომავალს.

მადლობა ფრესკო ჯგუფის ყველა წევრს გაწეული მუშაობისთვის!

მადლობა ყველა მომწოდებელ კომპანიას თანამშრომლობისთვის!

მადლობა ყველა ჩვენს მომხმარებელს ერთგულებისთვის და ნდობისთვის!

გპირდებით, არ დაგადალატებთ!

მადლობა ღმერთს, რომ გვაძლევს ძალას და ჯანმრთელობას წარმატებით გავაგრძელოთ ჩვენი ბიზნესი!



ვასილ სოფრომაძე
დამფუძნებელი


ფინანსური მაჩვენებლები:

2021 წელმა ცხადყო ფრესკოს ორგანიზაციული და ფინანსური მდგრადობა მნიშვნელოვანი გამოწვევების მიმართ. კომპანიამ არა მხოლოდ წარმატებით უზრუნველყო COVID-19-ის რეალობასთან ადაპტაცია და ბიზნესის უწყვეტობა, არამედ შეძლო პანდემიის პირობებში ქსელის გაფართოვება, 15 მილიონი ლარიანი ინვესტიციის განხორციელება და 200-მდე ახალი თანამშრომლის დასაქმება.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გაუმჯობესების მიუხედავად, კომუნალური გადასახადების მკვეთრი ზრდა, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი (13.9%) და კორპორატიული გაყიდვების აღდგენის ნელი ტემპი - კომპანიისთვის ფინანსურ წნეხს წარმოადგენდა. ზემოთხსენებული ნეგატიური ფაქტორების დასაბალანსებლად, კომპანიის მთელი ძალისხმევა მიმართულ იქნა შემოსავლების ზრდაზე, რამაც ფრესკო ვესტ ჯორჯიას საშუალება მისცა 2021 წელი წარმატებული ფინანსური მაჩვენებლებით დაესრულებინა. შედეგად, საოპერაციო მოგება 7.2% შეადგინა, რაც 523,000 ლარია.

ფრესკო ვესტ ჯორჯიამ წელი 2 მილიონ ლარზე მეტი მოგებით დაასრულა. დეტალური ინფორმაცია კომპანიის 2021 წლის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში და დამოუკიდებელი აუდიტების მიერ მომზადებულ უპირობო დასკვნაში.

ფრესკო ვესტ ჯორჯიას საოპერაციო მოგება



არაფინანსური მაჩვენებლები:

პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე:

2020-2021 წლები საქართველოს ეკონომიკისთვის განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა. პანდემიამ უპრეცედენტო გარემოებების წინაშე დააყენა რითილ სექტორი, განსაკუთრებით კი მიმდინარე წელს: დაწესდა ახალი რეგულაციები, როგორც შრომის უსაფრთხოების სფეროში, ასევე სურსათის უვნებლობის მიმართულებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნალური გადასახადები. ღარის გაუფასურება და მაღალი ღონის ინფლაცია, ავტომატურად ამცირებდა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას, რაც ბიზნესის შემოსავალზე პირდაპირპროპორციულად აისახა.

ფრესკომ, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, პანდემიის დაწყებიდან მოახდინა ძალისხმევის მობილიზება იმისთვის, რომ სავაჭრო სივრცეები მაქსიმალურად დაცული და უსაფრთხო ყოფილიყო თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის. ამ მიმართულებით რეგულარულად გრძელდებოდა დუზინფექციის ჩატარება და სუპერმარკეტების სივრცეების და თანამშრომლების სათანადო უსაფრთხოების აღჭურვილობით უზრუნველყოფა. მიგვაჩნია, რომ ბაზარზე სტაბილური ოპერირებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოსავალი ვაქცინაცია არის, შესაბამისად კომპანიამ არა ერთი წამახალისებელი ღონისძიება გაატარა მთელი კომპანიის მასშტაბით.

2021 წლის I და II კვარტალში, პარალელურად, გრძელდებოდა პანდემიის გამო დაწესებული მკაცრი შეზღუდვები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკამ რამდენიმე წლით უკან დაიწია, წლის მეორე ნახევარი დამაიმედებელი, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით დასრულდა. მოიხსნა მასობრივი შეზღუდვები და გაიხსნა საზღვრები, დაიწყო ამუშავება ტურისტული სექტორი.

ასეთ არასტაბილურ ვითარებაში კი ფრესკომ დროულად, წარმატებით უზრუნველყო ბიზნესის უწყვეტობა და მომხმარებლებს ჩვეულ რეჟიმში 24 საათიანი მომსახურება შეუფერხებლად მიაწოდა.

საცალო გაყიდვები:

მიუხედავად ნეგატიური ფაქტორებისა, ფრესკომ შეძლო 2021 წელს ფინანსური მაჩვენებლების და საცალო გაყიდვების ზრდის უზრუნველყოფა.


თუმცა, ამის მიღწევა არ იყო მარტივი, რადგან ფრესკოს საქმიანობას თან ახლდა მრავალი დამაბრკოლებელი ფაქტორი: პანდემიამ შეაფერხა სამომხმარებლო პროდუქტების მიწოდების არხები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, შემცირდა იმპორტი რის გამოც, ბაზარზე ხშირად იქმნებდა სასაქონლო დეფიციტები. საღისტრიბუციო კომპანიებს, ასევე უდიდეს პრობლემას უქმნიდა ტრანსპორტის შეზღუდვა და გადაადგილების სხვადასხვა აკრძალვები. საბოლოოდ, ზემოთხსენებულმა პრობლემებმა ფასების საერთო ღონის 13.9%-იანი ზრდა გამოიწვია.

ინფლაციამ, შეცვალა მომხმარებლების ქცევა - როდესაც პანდემიის დასაწყისში მომხმარებლები ორიენტირებულები იყვნენ მასიურ შესყიდვებზე, 2021 წელი მათი ქცევა დაზოგვისკენ იყო მომართული. ამ კუთხით კი, ფრესკო მათ პერმანენტულ აქციებს სთავაზობდა და კომპანიის მთავარი ორიენტირი ფასების შენარჩუნება და მომხმარებლების კმაყოფილება იყო.

ფასების მაქსიმალური შენარჩუნების და მომხმარებლებისთვის აქციების შეთავაზების პარალელურად, კომპანიის მთავარი ამოცანა პროდუქციის სტაბილური მიწოდება იყო. იმისთვის, რომ შექმნილი დეფიციტები დისკომფორტის შემქმნელი არ ყოფილიყო, ჩვენს მომხმარებლებს ალტერნატიული პროდუქცია შევთავაზეთ - რამაც საბოლოო ჯამში სრული ასორტიმენტის 20%-ით გაზრდა გამოიწვია. ჩვენი პარტნიორები გახდნენ ისეთი კომპანიები როგორებიც არიან „მინისო“, „ემბავუდი“, „ბადაგი“ და სხვა. პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების გამო, მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ შეეძინათ ისეთი პროდუქცია, რომელიც ამ დრომდე სუპერმარკეტის ფორმატიდან გამომდინარე არ შეეძლოთ - საყოფაცხოვრებო აქსესუარები, ტექნიკა, ავეჯი, ტექსტილი თუ სხვა.

ფრესკო GLOVO-ს პლატფორმაზე:

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა საზოგადოების ნაწილი იძულებული გახადა აქტიურად ესარგებლა ონლაინ შესყიდვებით, რამაც დააჩქარა როგორც ბიზნესის, ისე მომხმარებლის მიერ ელექტრონული საშუალებების გამოყენება. კარანტინის პირობებში მოსახლეობა ერიდებოდა სუპერმარკეტებში ვიზიტს. ამას ემატებოდა



ქუჩაში გადაადგილების შეზღუდვები, კომენდატის საათი და სხვა დაბრკოლებები. ამიტომ, ჩვენი კომპანიის მხრიდან პროდუქციის მიწოდების სერვისის დანერგვა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. ამოცანის სწრაფი გადაჭრისთვის, ფრესკომ ბაზარზე არსებული ლიდერი კომპანიის Glovo-ს ონლაინ პლატფორმა გამოიყენა.

ბაზარზე თავის დამკვიდრება პირველივე დღიდან მარტივი აღმოჩნდა, რადგან კონკურენტებისგან განსხვავებით მომხმარებლებს შევთავაზეთ ყველაზე ფართო ასორტიმენტი როგორც საკვები, ისე არა საკვები პროდუქციის მიმართულებით, 24 საათიანი მომსახურება და რაც მთავარია ჩვენი ონლაინ სუპერმარკეტი ხელმისაწვდომი იყო თბილისის ყველა უბნისთვის.

ამავე წელს მომხმარებლებს შევთავაზეთ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ქეშ-ბეჭების აქცია საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს 70 ლარიანი შენაძენის შემდგომ 25 ლარი საკუთარ ანგარიშზე უბრუნდებოდა.

აღნიშნულმა პროექტმა ცხადყო, რომ ელექტრონული გაყიდვები ბიზნესის განვითარების განუყოფელი ნაწილია. გლოვოსთან ინტეგრაციის შემდეგ:

- მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 10%-ით;
- ონლაინ ვაჭრობის წილი კომპანიის მთლიან ბრუნვაში გაიზარდა 5%-მდე.

კორპორატიული გაყიდვები:

COVID-19 პანდემიამ ფრესკოს კორპორატიულ მიმართულებას დიდი დაბრკოლება შეუქმნა: დაიხურა და დისტანციურ რეჟიმში გადავიდნენ ოფისები, ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ბიზნესებიდან მიღებული შემოსავალი თითქმის 0-ს გაუტოლდა, ამას ემატებოდა კიდევ სხვა შემაფერხებელი რეგულაციები, რაც სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობას უშლიდა ხელს. თუმცა, ამის მიუხედავად ფრესკო ვესტ ჯორჯიამ გახსნის პირველივე დღიდან ბაზარზე წარმატებული



მოღვაწეობა ალტერნატიული სოციალური თუ ბიზნეს პროექტებში ჩართვით დაიწყო.

ფრესკოს კორპორატიული მიმართულება თანამშრომლობდა კერძო კომპანიებთან და საავადმყოფოებთან მზა კვების მიწოდების მიმართულებით, ამარაგებდა სხვადასხვა კოვიდ სასტუმროს, აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა კერძო სოციალური ინციატივების განხორციელებასა და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში.

2021 წელს ურთულესი გამოწვევების მქონე გარემოში, ფრესკომ ლოკაციისა და სტაბილური/უწყვეტი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, მისაღები ფასებისა და ასორტიმენტის მრავალფეროვნების ფონზე, ბაზარზე კორპორატიული გაყიდვების მიმართულებით წარმატებულ პოზიციონირება მოახდინა.

ფრესკოს მზა კვება:

ფრესკომ ბაზარზე სწრაფი პოზიციონირების ერთ-ერთი მიზეზი უმაღლესი ხარისხის და განსაკუთრებული გემოვნების თვისებების მქონე მზა კვება იყო.

ფრესკოს საწარმოს მოწყობაში მილიონობით ლარის ინვესტიცია განხორციელდა: აღიჭურვა უახლესი თაობის, ევროპული სტანდარტების მქონე დანადგარებით და მოწყობილობით, საწარმოს გუნდი კი გადამზადებული, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ტექნოლოგებით, პროფესიონალი მზარეულებით და მცხოვრებლებითა დაკომპლექტდა.

მზა კვების ასორტიმენტი შედგება, როგორც ქართული, ისე ევროპული 150-მდე დასახალების კერძისგან.

ფრესკოს სამზარეულო მისაღები ფასებისა და მრავალფეროვანი ასორტიმენტის დამსახურებით დიდუბის რაიონში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყოველდღიურად, მზა კვების სექცია 1000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. თუმცა, 2022 წლის მოლოდინები წინა წელთან შედარებით უფრო მაღალია, ვინაიდან ყოველთვიურად მომხმარებლებლების რაოდენობა 10-15%-ით იზრდება.



იჯარა:

კომპანია ფრესკოს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება იჯარებით შემოსული თანხებია. 2021 წელს პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები ძალიან რთულად აისახა ჩვენს პარტნიორ კომპანიებზეც, რომლებიც ფრესკოს სუპერმარკეტების სავაჭრო სივრცეებში ოპერირებენ. კომპანიამ, მხარში დაუდგა იმ ბიზნეს ოპერატორებს, რომლებსაც საქმიანობაში ხელი შეეშალათ და შეღავათი გაუკეთა ყოველთვიურ გადასახადში. ამ მხრივ ფრესკოს კვლავ მოუწია შემოსავლის დიდ ნაწილზე უარის თქმა. ფრესკო ვესტ ჯორჯიას საიჯარო ფართში ოპერირებენ ისეთი ბიზნესები როგორიცაა: „ფარმადეპო“, Usa2georgia, „საქართველოს ბანკი“, სამეჯლისო სპორტული ცეკვების აკადემია „თელა“ და სხვა.

დასაქმებულები:

2021 წლის ყველაზე მთავარი ამოცანა, სრული საკადრო შემადგენლობით მუშაობის უწყვეტ რეჟიმში გაგრძელება იყო. ამის შესრულება კი, ვირუსის ახალი შტამების, ვაქცინაციის ნელი ტემპებისა და არსებული რეგულაციების ფონზე არც თუ ისე მარტივ ამოცანას წარმოადგენდა - შეზღუდული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მასობრივი დაინფიცირება, საკადრო დეფიციტი და სხვა მიზეზები რაც კომპანიის სტაბილურ საქმიანობას ხელს უშლიდა.



მძიმე ეპიდვითარების გამო, სისტემატიურად ხდებოდა თანამშრომლების დაინფიცირება, რის გამოც კომპანია იძულებული იყო მოეხდინა მათი მუდმივი როტაცია სუპერმარკეტებში. ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ხდებოდა კონტაქტების იზოლაცია. კომპანიამ თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით უკლებლივ ყველა თანამშრომელი დააზღვია. ასევე, ჩატარდა სხვადასხვა სამუშაოები ვაქცინაციის წახალისების მიმართულებით, როგორც ფრესკოს სათავო ოფისში, ისე სუპერმარკეტებში.

2021 წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა სატრანსპორტო შეზღუდვები და ჩვეულ რეჟიმში გრძელდებოდა თანამშრომლების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა ფრესკოს კოლოსალურ ფინანსურ ტვირთად დააწვა. თუმცა, მიუხედავად ამისა ჩვენი სუპერმარკეტები 24 საათის განმავლობაში ახერხებდა მომხმარებლების მომსახურებას.

მიუხედავად უდიდესი ფინანსური წნეხისა, ფრესკომ უკლებლივ ყველა სამუშაო ადგილი შეინარჩუნა. არც ერთი დღე არ შეფერხებულა თანამშრომლებზე ხელფასის გაცემის პროცესი და მეტიც, პრემიის სახით თანამშრომლებზე მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ გარე და შიდა რისკებთან, რომელთა შეფასების, მათი ეფექტურად მართვისა და მიტიგირების მიზნით მენეჯმენტს შემუშავებული აქვს შესაბამისი მიდგომები.

მაკროეკონომიკური გარემო და საკანონმდებლო რისკი:

მიუხედავად ფინანსური სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხისა, ფრესკო ვესტ ჯორჯიას ბიზნეს საქმიანობაზე, მის ფინანსურ თუ არაფინანსურ მაჩვენებლებზე, ისევე როგორც მომავალი განვითარების გეგმებზე, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებამ და სოციალური ფონის გაუარესებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მომგებიანობაზე. მენეჯმენტის მიერ მუდმივად ხდება აღნიშნული რისკის შეფასება და სათანადო ღონისძიებების შემუშავება, როგორიცაა ასორტიმენტის ცვლილება, მომხმარებლებისთვის აქციების რეგულარული შეთავაზება, რათა მოსახლეობის მეტმა რაოდენობამ შეძლოს პროდუქციის შეძენა.

სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ბიზნეს საქმიანობისთვის. დღესდღეობით, სახელმწიფოში არსებული პრაქტიკა და მიდგომები არათანასწორ პირობებში აყენებს კომპანიას კონკურენტებთან მიმართებაში.

კომპანიის ბიზნეს საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, საგადასახადო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. თუმცა, არსებობს რისკი იმისა, რომ საკანონმდებლო ან სხვა რეგულაციების ცვლილებამ გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდამ მიმდინარეობს მენეჯმენტის შესაბამისი წევრების მხრიდან კანონპროექტების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირება, ისევე როგორც მიღებული კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების გატარება.

2021 წელს, COVID-19-ით გამოწვეული სირთულეებთან გამკლავება ყოველდღიურ რეალობად იქცა. შეზღუდვების შემსუბუქებამ და ვაქცინაციის პროცესის დაწყებამ გარკვეული სტიმული მისცა ქვეყნის ეკონომიკას და შედეგად ქვეყნის რეალური მშპ 10.4%-ით გაიზარდა. თუმცა, სამომხმარებლო ფასების ზრდის ტენდენცია კვლავ გაგრძელდა, რამაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 13.9%-მდე ზრდა გამოიწვია.

2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა წლის პირველი ნახევარი: მნიშვნელოვნად შეფერხდა უკრაინიდან და რუსეთიდან პროდუქციის იმპორტი, მათ შორის უკრაინაში ზოგიერთი საწარმოს ფიზიკურად განადგურების გამო. პროდუქციის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მომწოდებლებს ალტერნატიული გზების მოძებნა მოუწიათ. გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯები კი საბოლოოდ აისახა პროდუქციის ფასზე. ინფლაციის მაჩვენებელი კვლავ ორნიშნა - 12.9% რჩება. აღსანიშნავია, რომ ომის დაწყების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ქვეყანაში უკრაინიდან და რუსეთიდან ვიზიტორების/მიგრანტების შემოსვლის ტემპი და ფულადი გზავნილების ოდენობა. აღნიშნულმა ტენდენციამ თავისთავად მოთხოვნის ზრდა გამოიწვია, რაც აისახა ქვეყნის რეალური მშპ-ს ზრდაზე.

რა საკვირველია, ზემოთხსენებულმა ფაქტორებმა გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. მოქნილობის, სწრაფად-ცვალებად გარემოზე მყისიერად ადაპტირებისა და დროული გადაწყვეტილების მიღების წყალობით, კომპანიამ წარმატებით შეძლო 2021 წლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლებით დასრულება და მსგავს ტენდენციას ინარჩუნებს 2022 წელსაც.

საოპერაციო რისკი:

საოპერაციო რისკი მოიცავს არასწორი შიდა პროცესების, სისტემების გაუმართავობის, ადამიანური შეცდომით, გარე ფაქტორებითა და შიდა თუ გარე პირების მიერ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული დანაკარგების რისკებს.

სადავო ვაჭრობის ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. ფრესკოში საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით რეგულარულად მიმდინარეობს მუშაობა პროცესების ავტომატიზირების, პროცედურების დოკუმენტირების, რეგლამენტირებისა და სტანდარტიზირების კუთხით. საოპერაციო რისკების აღმოჩენაში, მონიტორინგის პროცესში, სწორად მართვასა და პრევენციაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ინვენტარიზაციის, შიდა კონტროლისა და დაცვისა და შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტებს.

გარდა ამისა, დირექტორთა საბჭოს სათანადო წევრებით დაკომპლექტებული - დანაკლისების კომიტეტი უზრუნველყოფს ფრესკოში საოპერაციო რისკების ეფექტური მართვის პოლიტიკის გატარებასა და აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების დროულ და სათანადო განხორციელებას. ზემოთხსენებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, 2021 წელსაც გაგრძელდა საოპერაციო რისკებიდან მიღებული დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია, რაც პირველ რიგში შესაბამისი დეპარტამენტების წარმატებული მუშაობის შედეგია.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში კომპანიაში გაგრძელდა მსოფლიო პანდემიით განპირობებული დამატებითი კონტროლის მექანიზმების განხორციელება. დეზინფექციების რეგულარულად ჩატარების და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის გარდა, ასევე გატარდა სხვადასხვა ღონისძიება ვაქცინაციის პროცესის წასახალისებლად, თანამშრომლებში ვაქცინაციის მნიშვნელოვანებისა და ამ თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, კომპანიამ წარმატებით შეძლო ბიზნესის უწყვეტი წარმოება და საოპერაციო რისკების დაბალ დონეზე შენარჩუნება.

საკრედიტო რისკი:

საკრედიტო რისკში იგულისხმება რისკი იმისა, რომ კონტრაგენტის ან დებიტორის მიერ არ/ვერ მოხდება კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულება. კომპანიაში შემუშავებული და დანერგილია კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემა, დებიტორული დავალიანების ინტენსიურ მონიტორინგი და შიდა გამაფრთხილებელი ინდიკატორების სისტემა, რაც ერთობლიობაში ქმნის საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის პოლიტიკას.

ლიკვიდურობის რისკი:

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს იმის საშიშროებას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ფინანსური ვალდებულებების მთლიანი და დროული შესრულება. აღნიშნული რისკის მართვისთვის ფრესკოს შემუშავებული აქვს მომწოდებლებთან ანგარიშსწორების სწრაფი და მოქნილი სისტემა და ამასთან, კომპანიას გააჩნია საკმარისი ოდენობის ფულადი სახსრები ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

საბაზრო რისკი:

საბაზრო რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი გულისხმობს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეულ უარყოფით შედეგს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნული არ წარმოადგენს კომპანიისთვის მატერიალურ რისკს. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან მუდმივად ხდება, მისი მონიტორინგი.

სავალუტო რისკი გულისხმობს გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ უარყოფით შედეგს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ვინაიდან ფრესკოს ყველა სუპერმარკეტი ოპერირებს საკუთარ შენობებში და არ იხდის იჯარის თანხას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, ეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მას სავალუტო რისკის კუთხით. გარდა ამისა, კომპანია თვითონ არ ახდენს პროდუქციის იმპორტს და შესაბამისად თავიდან აცილებული აქვს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული პირდაპირი უარყოფითი გავლენა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში რეალიზებული პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა იმპორტირებულ საქონელზე მოდის, გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ნეგატიურ გავლენას ახდენს პროდუქციის ფასებზე, მოლოდინებსა და მომხმარებლის მოთხოვნაზე - ეს ყველაფერი კი აისახება კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

2021 წელს აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაცვლითი კურსის გამყარებამ დადებითი გავლენა იქონია კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგზე, რაც გამოწვეული იყო დამფუძნებელი კომპანიისგან მიღებული, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების გადაფასების პოზიტიური მაჩვენებლით.



პანდემიიდან ერთი წლის შემდეგაც მაღალი იყო გაურკვევლობა ეკონომიკური აღდგენის პერსპექტივებზე, რაც ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე იყო დამოკიდებული, ერთი მხრივ - რამდენად ეფექტიანად განხორციელდებოდა ვაქცინაცია ვირუსის გავრცელების შესაზღუდად, ხოლო მეორე მხრივ - რამდენად წარმატებული იქნებოდა ეკონომიკის მხარდასაჭერი ღონისძიებები ხანგრძლივი დაზიანებების აღმოსაფხვრელად.

ამ სირთულეებს 2022 წელს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ნეგატიური შედეგები.

პანდემიის შემდგომი ეფექტები, ხარჯების კოლოსალური ზრდა, არასტაბილური ბიზნეს გარემო, არასტაბილური შრომითი ბაზარი და სხვა. ყველა ამ გამოწვევას ფრესკო, რისკების სწორი შეფასებით დახვდა და წელი მოგებით დაასრულა. ამავე ტენდენციის შენარჩუნება კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა და ამისთვის, სხვადასხვა ღონისძიების გატარებაა დაგეგმილი:

- რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე 2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა პროდუქციის სტაბილური მიწოდებისთვის ალტერნატიული გზების მოძიებაა.
- ასევე, წლის მნიშვნელოვანი პროექტი სახელფასო ბიუჯეტის გადახედვა იქნება. გეგმაშია, ფრესკოს სუპერმარკეტში დასაქმებულებისთვის ანაზღაურების 40%-ით გაზრდა და შესაბამისად, თანამშრომლებისთვის ბაზარზე ყველაზე მაღალი ხელფასის შეთავაზება.
- პარალელურად, გაგრძელდება ასორტიმენტის გაზრდა, როგორც მზა საკვების, ისე საკვები და არასაკვები პროდუქციის მიმართულებით.
- და რა თქმა უნდა, ქსელის გაფართოვება ფრესკოსთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც 2022 წელს კვლავ დღის წესრიგში რჩება.



თბილისი-კოჭრის გზატკეცილი №3, 0105, თბილისი, საქართველო
შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“

ტელ: (995 32) 2 907 907

ელ.ფოსტა: info@fresco.ge; www.Fresco.ge